



პროგრამის აღწერილობა: მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამა (FLEX)

უკვე ოცდამეშვიდე წელია, რაც მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამა "FLEX" შესაძლებლობას აძლევს ქართველ უფროსკლასელებს ისწავლონ ამერიკულ სკოლებში და იცხოვრონ ამერიკულ ოჯახებში. პროგრამას აფინანსებს ამერიკის მთავრობა და ადმინისტრირებას უწევს საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოები.

2020-2021 აკადემიური წლისათვის "FLEX" პროგრამის ფარგლებში შეირჩევა 80-მდე ფინალისტი. გამარჯვებულების მგზავრობა, ამერიკაში და უკან, სრულად დაფარული იქნება. ისინი, ასევე, უზრუნველყოფილნი იქნებიან ყოველთვიური სტიპენდიითა და ჯანმრთელობის დაზღვევით. აშშ-ში ყოფნისას ქართველ მოსწავლეებს საშუალება ექნებათ, გააცნონ თავიანთი კულტურა ამერიკელებს და ასევე, გაეცნონ ამერიკულ კულტურას სკოლაში სწავლის, ოჯახური ცხოვრებისა და სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის გზით.

"FLEX" პროგრამის ფინალისტები შეირჩევიან ვაშინგტონის დამოუკიდებელი კომისიის მიერ, რომელიც შედგება ამერიკელი სპეციალისტებისაგან განათლების დარგში. შერჩევის პროცესი დაფუძნებულია კონკურსზე. კონკურსი კომპლექსურია და განისაზღვრება წერილობით შევსებული ანკეტის, რეკომენდაციების, ინგლისური ენის ცოდნის დონისა და კანდიდატის მიერ გამოქვეყნებული ერთწლიანი გაცვლითი გამოცდილებისათვის მზადყოფნის საფუძველზე.

პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის (1) მე-9, მე-10 და მე-11 კლასის, (2) 2003 წლის 1 იანვრიდან 2005 წლის 16 ივლისამდე დაბადებულ მოსწავლეებს, რომელთაც (3) ბოლო 5 წლის მანძილზე არ უცხოვრიათ აშშ-ში 3 თვის ან მეტი ხნის განმავლობაში, (4) არიან საქართველოს მოქალაქეები და (5) ფლობენ ინგლისურ ენას. "FLEX" პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად ჩვენ ვიწვევთ ყველა უფროსკლასელებს, რომელიც აკმაყოფილებს პროგრამის კრიტერიუმებს, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებს (შშმპ). ასაკობრივი და სასკოლო კრიტერიუმი ასეთი პირებისათვის განსხვავებულია: მე-8, მე-9, მე-10, მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლე და 2002 წლის 15 თებერვლიდან 2005 წლის 16 ივლისამდე დაბადებული.

ქალაქი	თარიღი	დრო	Testing Center	Testing Center Address
ნინოწმინდა	16 სექტემბერი, 2019 წელი	10:00	#1 საჯარო სკოლა	ტერიანის ქ. #14, ნინოწმინდა
გორი	21 სექტემბერი, 2019 წელი	10:00	#3 საჯარო სკოლა	ამილახვრის ქ. #26, გორი
თელავი	28 სექტემბერი, 2019 წელი	10:00	#7 საჯარო სკოლა	ალაზნის ქ #22, თელავი
ქუთაისი	28 სექტემბერი, 2019 წელი	10:00	#3 საჯარო სკოლა	წმ. ნინოს ქ. #2, ქუთაისი
რუსთავი	3 ოქტომბერი, 2019 წელი	10:00	#22 საჯარო სკოლა	ქუთაისის ქ. #6, რუსთავი
ზუგდიდი	3 ოქტომბერი, 2019 წელი	10:00	#4 საჯარო სკოლა	ცოტნე დადიანის ქ. #8, ზუგდიდი
ბათუმი	5 ოქტომბერი, 2019 წელი	10:00	#10 საჯარო სკოლა	ჯავახიშვილის ქ. #66, ბათუმი
მარნეული	11 ოქტომბერი, 2019 წელი	10:00	#5 საჯარო სკოლა	რუსთაველის ქ #52, მარნეული
თბილისი	12 ოქტომბერი, 2019 წელი	10:00	#55 საჯარო სკოლა	ჭავჭავაძის გამზ. #38, თბილისი
თბილისი	30 ოქტომბერი, 2019 წელი	10:00	ამერიკული საბჭოების ოფისი (მხოლოდ შშმპ)	ჭავჭავაძის გამზ. #35ა, თბილისი
ახალციხე	21 ოქტომბერი, 2019 წელი	10:00	#5 საჯარო სკოლა	ფარნავაზ მეფის ქ. #6, ახალციხე
ბორჯომი	23 ოქტომბერი, 2019 წელი	10:00	#3 საჯარო სკოლა	რუსთაველის ქ. #97, ბორჯომი

მონაწილეებმა ტესტირების ცენტრში გამოცხადებისას თან უნდა იქონიონ: დაბადების მოწმობის დედანი (ან პირადობის მოწმობა, ან პასპორტი), ერთი ახლადგადაღებული 3X4სმ ფოტოსურათი და კალამი. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველ სკოლის მოსწავლეებს უფლება აქვთ ტესტირება გაიარონ ზემოთ ჩამოთვლილი ცენტრებიდან მხოლოდ ერთ-ერთში. მონაწილე, რომელიც ტესტირებას გაივლის ორ სხვადასხვა ცენტრში, იქნება დისკვალიფიცირებული.

ფინალისტების შერჩევა მიმდინარეობს სამ ეტაპად. მონაწილეები პირველ ტურში გაივლიან ინგლისური ენის 15-წუთიან ტესტს. მეორე ტურში გადასული კონკურსანტებს დაევალებათ რამდენიმე თემის დაწერა, ხოლო ამ ტურის წარმატებით გადალახვის შემთხვევაში მიიღებენ მონაწილეობას მესამე ტურში. ნახევარფინალისტი მოსწავლეები შეავსებენ ანკეტას, დაწერენ კომპლექსურ ინგლისურის ტესტს და გაივლიან გასაუბრებას. ფინალისტები გამოვლინდებიან 2020 წლის მაისის დასაწყისში. ისინი იმავე წლის ზაფხულში გაემგზავრებიან ამერიკის შეერთებულ შტატებში და დაბრუნდებიან საქართველოში 2021 წლის ივნისის თვეში.